საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/109

ქ.ბათუმი 4 სექტემბერი, 2018 წ.

ბსუ-ს სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების აღრიცხვის წესის დადგენის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 16 თებერვლის №01-08/6 ბრძანების, ,,სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომის ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე ბსუ-ს რექტორის 2011 წლის 21 სექტემბრის N01-08/41 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 12 ოქტომბრის №01-08/88 ბრძანების და ,,ბსუ-ს ზოგიერთი ფაკულტეტის რეორგანიზაციის შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N01 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის N64 დადგენილები საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების: პროფესიული, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, რეზიდენტურისა და დოქტორანტურის სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები **2018 წლის 10 სექტემბრიდან** აღირიცხოს ცალკეული ფაკულტეტების, საგანმანათლებლო პროგრამების (სწავლების საფეხური) და კალენდარული წლის მიხედვით, მათთვის სარეგისტრაციო ნომრის შემდეგი თანმიმდევრობით მინიჭებით (მარჯვნიდან მარცხნივ):

   1.1. ნომრის ბოლო სიმბოლოდ მიეთითოს სწავლების შესაბამისი საფეხურის (პროფესიული / ბაკალავრიატი / მაგისტრატურა/ დოქტორანტურა / რეზიდენტურა) დასახელების პირველი ასობგერა **(პ/ბ/მ/დ/რ)**, გამოიყოს დახრილი ხაზით;

   1.2. დახრილი ხაზის შემდეგ მიეთითოს შესაბამისი ფაკულტეტისათვის ბსუ-ს რექტორის ბრძანებით მინიჭებული ორნიშნა კოდი, ხოლო შემდეგ - კალენდარული წლის ბოლო ორ ციფრი და გამოიყოს დეფისით;

   1.3. დეფისის შემდეგ მიეთითოს გაფორმებული ხელშეკრულების რიგითი ნომერი (მაგალითად, თუკი წინამდებარე ბრძანების ამოქმედების შემდეგ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის საფეხურზე 2018 წლის 10 სექტემბერს ხელშეკრულება გაფორმდა ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირთან და მასთან გაფორმებული ხელშეკრულება პირველია, ხელშეკრულების ნომერი იქნება **N01-1807/ბ,** საიდანაც N01 აღნიშნავს ფაკულტეტზე გაფორმებულ პირველ ხელშეკრულებას, ,,18“ - 2018 წელს, ,,07“ - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კოდს, ხოლო ,,ბ“ - ბაკალავრიატის საფეხურს).

2. თითოეული ფაკულტეტის ადმინისტრაციამ აწარმოოს სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი თანდართული ფორმის **(დანართი №1)** მიხედვით, რომელშიც აისახოს შემდეგი ინფორმაცია:

   ა) სტუდენტის სახელი და გვარი;

   ბ) სტუდენტის პირადობის მოწმობის ნომერი (პასპორტის ნომერი - საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის);

   გ) ხელშეკრულების გაფორმების/რეგისტრაციის თარიღი და მინიჭებული ნომერი;

   დ) ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თარიღი **და საფუძველი** (პირადი განცხადება, დისციპლინური, გარე ან შიდა/გარე მობილობა ან სხვა);

   ე) **სხვა ინფორმაცია** - შენიშვნის გრაფაში შეიძლება აისახოს ფაკულტეტის დეკანის ოფისის გადაწყვეტილებით.

3. შევსებული (დასრულებული) ჟურნალი შესანახად გადაეცეს ბსუ-ს კანცელარიას (არქივს) მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (აქტი გაფორმდეს ორ ეგზემპლარად), რომელშიც აისახოს ჟურნალის გახსნის/დახურვის თარიღი და აღრიცხულ ხელშეკრულებათა რაოდენობა. აქტის ერთი ეგზემპლარი გადაეცეს არქივს, ხოლო მეორე ეგზემპლარი შენახული იქნეს ფაკულტეტის დეკანის ოფისში.

4. შევსებული და რეგისტრირებული ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცეს სტუდენტს, უნივერსიტეტის ეგზემპლიარი დაერთოს შესაბამისი სტუდენტის პირად საქმეს, ხოლო მისი სკანირებული ვერსია განთავსდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში/სტუდენტურ პორტალზე (სტუდენტის პროფილში).

5. ბრძანების აღსრულება დაევალოს:

   ა) სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურს 2018 წლის 10 სექტემბრიდან 2018 წლის 1 ოქტომბრამდე, ,,2018 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აბიტურიენტების ბსუ-ში ჩარიცხვისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 21 აგვისტოს N01-08/103 ბრძანების ფარგლებში;

   ბ) ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანების ოფისებს - 2018 წლის 1 ოქტომბრიდან.

6. ბსუ-ს სტამბამ უზრუნველყოს სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმებისა და ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალის დაბეჭდვა.

7. ფაკულტეტების დეკანებმა უზრუნველყონ 2018 წლის 10 სექტემბრამდე ფაკულტეტის სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზაცია, ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალების დახურვა და შესაბამისი სამსახურებრივი ბარათების 2018 წლის 1 ოქტომბრამდე წარმოდგენა.

8. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 4 სექტმბრის
N____ ბრძანების
01-08/109 დანართი 1

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფაკულტეტი _____

სწავლების საფეხური ----------

სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებების

სარეგისტრაციო ჟურნალი

№	სახელი, გვარი	პირადი/პასპორტის ნომერი	ხელშეკრულების გაფორმების თარიღი და ნომერი	ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღი და საფუძველი	შენიშვნა

შენიშვნა: ჟურნალი ნაწარმოებია 2018 წლის 10 სექტემბრიდან.